

წელიწადის დროები

Времена года

ამოცანები:

- ვასწავლოთ მოსწავლეებს წელიწადის ოთხი დროის შესახებ.
- განსხვავებული სეზონების ამინდებთან დაკავშირება და ლექსიკური მარაგის გაზრდა.

გაკვეთილ(ებ)ის მიმდინარეობა

1. მასწავლებელი კითხულობს / ასმენინებს ბავშვებს ტექსტს.

ამბავი: თოვს. რეზო და ლილი თოვლის ბაბუას აკეთებენ. ისინი სხვადასხვა სეზონის შესახებ საუბრობენ.

2. მასწავლებელი კედელზე გაკრულ სურათებთან იძახებს ბავშვებს (4 წყვილი) და სთხოვს მათ, თითოეულმა ამოიცნოს, წელიწადის რა დროა გამოსახული (მასწავლებელი დროდადრო ახსენებს ტექსტში გადმოცემულ დახასიათებას).

3. სთავაზობს წყვილებს, ერთმანეთს მოუყვინნ, რა არის მნიშვნელოვანი თითოეულ წელიწადის დროს, რა მოსწონს, რა არ მოსწონს თითოეულ ბავშვს წელიწადის ამ დროში.

4. ამ აქტივობას იმეორებს რამდენიმეჯერ, სანამ ყველა ბავშვი არ დაისწავლის სახელწოდებებს და არ მოახდენს იდენტიფიცირებას...

5. თამაში # 31-1

ნახატის აწყობა

კატეგორია- მოსმენა

ჯგუფი- მხოლოდ პატარა ჯგუფებში

სივრცე- კედლის სივრცე

მასალა- ნაწილებად დაჭრილი ნახატი და მისაწებები ნივთიერება, რომელიც ზორ ზედაპირზე დროებით მიაწებებს ნახატის ნაწილს.

თამაშის წესი: მიეცით მოსწავლეებს ნაწილებად დაჭრილი ნახატი. მიეცით დავალება მათ, რომ კედელზე, ან იატაკზე ნახატი ისევ ააწყონ და გაამთლიანონ. ნახატის ნაწილების

თანმიმდევრობით მიწოდებისას, ეცადეთ დაასახელოთ ყოველთვის ნახატის ამ ნაწილზე რა არის გამოსახული. მაგ. “სამირა, გთხოვ მიაწებე ეს ფეხი“, „პიტერ, გთხოვ დაამაგრე ეს ხელი“. ასე განაგრძეთ, ვიდრე მთლიანი სურათი არ აიწყობა. ხოლო აწყობის შემდეგ ისევ სხთხოვეთ ნაილებად და რიგრიგობით მოგიტანონ ნახატის შემადგენელი ნაწილები, სანამ მთლიანი ფოტო არ დაიშლება.

- ადვილად ასწყობია: ადამიანების სხეულის ნაწილების ნახატი, სახლი ან ბაღი, ფანჯრებით, კარით და სხვ, ოჯახის წევრების ხე, ფერმა, სადაც ბევრი ცხოველია.
1. ბავშვების გამოკითხვა, თუ რომელი ხილი რომელ სეზონზე მოდის (მასწავლებლის დახმარებით).

6. თამაში # 31-2

დამალული სურათი

სხვადასხვა ხილის სურათს დააფარეთ უფრო მომცრო ზომის ფურცელი ისე, რომ ხილის მხოლოდ ნაწილი იყოს დაფარული. ბავშვებმა უნდა გამოიცნონ რომელი ხილია გამოსახული სურათზე.

7. ამოცნობილი ხილი ბავშვებმა უნდა გადაანაწილონ წელიწადის დროების მიხედვით: (იხ. რესურსები)

8. მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს (სასურველია, შემოდგომაზე) გარეთ გასვლას. აქტივობა - **შემოდგომის ნიშნები**: გავიდეთ ეზოში და დავაკვირდეთ შემოდგომის ნიშნებს ვისაუბროთ, რა ცვლილებებს ვამჩნევთ ბუნებაში თუ ჩვენი ეზო გვაძლევს ამის შესაძლებლობას, შევავროვოთ ბუნებრივი მასალები: ყვითელი და წითელი ფოთლები, გირჩები, წიწვები, რკო... მასწავლებელი ყველა ამ შეგროვებული ნივთის სახელს წარმოთქვამს და ამეორებინებს ბავშვებს. ცოდნის გასამყარებლად მიმართვას შემდეგ თამაშს:

9. თამაში # 31-3

თამაში: გამოცნობა ანა შეხებით

ნაჭრის ტომარაში ჩაყარეთ ნივთები, თვალი აუხვიეთ ბავშვს ქსოვილით. სთხოვეთ, ამოიღოს რაიმე ნივთი და შეხებით გამოიცნოს, რა საგანი უჭირავს, აღწეროს როგორია: პრიალა, ფუმფულა, მრგვალი და ა.შ. (ზედსართავი სახელები გახსენება)

10. მასწავლებელი კითხულობს ლექსს:

წელიწადი

გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი, -
ესეც შენი ოთხი დრო,
წელიწადი მზად არი.

11. თამაში #31.4

წელიწადის ოთხი დრო: მოვამბენინოთ ბავშვებს წელიწადის დროების ამსახველი სიმბოლოები, რომლებსაც თამაშის დაწყებამდე დავმაღავთ. სიმბოლოების შექმნა შეგვიძლია ბავშვებთან ერთად (მაგ, შემოდგომა: ყურძენი; გაზაფხული: მერცხალი; ზაფხული: მზე; ზამთარი: თოვლის ფიფქი და ა.შ.). დამალული საგნების მოძებნისას შესაძლებელია ბავშვებს მივაწოდოთ მინიშნებები: "ცივა - ცხელა" (როცა ბავშვი უახლოვდება იმ ადგილს, სადაც საგანია დამალული, ვამბობთ „თბილა“, როცა შორდება - „ცივა“).

ლექსიკა:

ოთხი სეზონი: ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა.

თემასთან დაკავშირებული სხვა ლექსიკური ერთეულები:

ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა
თოვლი	ყვავილები	სიცხე და მზე	სიგრილე
სიცივე	სითბო	ცურვა	ფოთოლცვენა
ყინვა	წვიმა	ქვიშის ციხე-სიმაგრეების აშენება	რთველი
სრიალი	ყვავილების კრეფა	ზღვაზე დასვენება	
	სიმწვანე		

საკვანძო წინადადებები/გრამატიკა:

- ზამთარში ცივა და თოვს.
- გაზაფხულზე წვიმს და თბილა.
- ზაფხულში ცხელა და მზე აცხუნებს.
- შემოდგომაზე გრილა.
- ზამთარში შეგვიძლია ვისრიალოთ ყინულზე ან თოვლზე.
- გაზაფხულზე შეგვიძლია ყვავილების დაკრეფა.
- ზაფხულში შეგვიძლია ვიცუროთ ზღვაზე.
- შემოდგომაზე შეგვიძლია ვჭამოთ ბევრი ხილი და ვითამაშოთ ხმელი ფოთლებით.

ზედსართავი სახელები (ცივი, ცხელი, გრილი) და მათგან ნაწარმოები ზედსართავები; საგნის ნიშან-თვისების ამსახველი ზედსართავები.

ბანერი 10 - წელიწადის დროები

7 კარტი-ნახატი